საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ნ. ხ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.06.23

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №056/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. კ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 13 ივნისს საჩივრით მომართა ადვოკატმა ნ. ხ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი დაესწრო 2023 წლის 7 ივლისს დისტანციური ფორმატით გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება და მხარი დაუჭირა საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მიმდინარე წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, აწარმოებდა სამოქალაქო დავას (მოსამართლე მ. ღ.). დავის საგანს წარმოადგენდა უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება უძრავი ქონების ნატურით გაყოფის გზით. საჩივრის ავტორის განმარტებით, კლიენტებს შეუთანხმდა სამოქმედო სტრატეგიაზე და მათგან მიიღო ჰონორარი.

ადვოკატის განმარტებით, მან მონაწილეობა მიიღო სასამართლო პროცესში, სადაც აქტიურად იცავდა კლიენტების ინტერესებს. აღნიშნულ სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ მიუღია და სხდომა გადაიდო 2023 წლის 2 ივნისისათვის. საჩივრის ავტორის განცხადებით, მის კლიენტებს უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ ადვოკატის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლო სხდომამდე მას დაუკავშირდა მისი ერთ-ერთი კლიენტი და განუცხადა, რომ აღარ სურდა მისთვის საადვოკატო მომსახურება გაეწია ნ. ხ.-ს, მოსთხოვა საქმის მასალებისა და ჰონორარის ნაწილის დაბრუნება. კლიენტი გამოთქვამდა უკმაყოფილებას, რომ ადვოკატმა შესაგებელი არ წარადგინა სასამართლოში; გააკრიტიკა ადვოკატის მიერ შემუშავებული სამოქმედო სტრატეგია და მიაწოდა ინფორმაცია, რომ უმჯობესი იყო სხვა გეგმით ემოქმედათ. ადვოკატის განცხადებით, მან აუხსნა კლიენტს, რომ სხვა გზით მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიიღებდნენ და განუმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე პრიმა მუხლის შინაარსი, რაც მოსამართლეს ანიჭებდა შესაძლებლობას სხდომა შესაგებლის წარდგენის გარეშე ჩაენიშნა. ადვოკატის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ მასალების დაბრუნებაზე.

1.4 ადვოკატი განმარტავს, რომ სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის გამოყენებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2 ივნისამდე რამდენიმე დღით ადრე მისი კლიენტების საქმეზე შესაგებელი წარადგინა ადვოკატმა თ. კ.-მ. შესაგებელი შედგენილი იყო კლიენტის მიერ მისთვის გაზიარებული სტრატეგიის შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, ადვოკატი ნ. ხ. ტელეფონით დაუკავშირდა ადვოკატ თ. კ.-ის და სთხოვა შეხვედრა აღნიშნულ საქმეზე სასაუბროდ. საჩივრის ავტორის განმარტებით, კოლეგამ უხეშად უპასუხა, რომ მასთან არავითარი საქმე არ ჰქონდა და კატეგორიული უარი განუცხადა შეხვედრაზე. ადვოკატის განმარტებით, სატელეფონო საუბრიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ, ის შემთხვევით შეხვდა ადვოკატ თ. კ.-ის თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის შენობაში. საჩივრის ავტორის განმარტებით, კოლეგამ უპასუხა, რომ „მისთვის თავი დაენებებინა, თუ არადა პატრულს გამოუძახებდა“, რაც ადვოკატ ნ. ხ.-ის შეფასებით იყო არაკოლეგიალური, უხეში და შეურაცხმყოფელი საქციელი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. კ.-მ 2023 წლის 21 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მას შეურაცხყოფა არ მიუყენებია კოლეგისათვის და არც აღნიშნული მიზანი ამოძრავებდა.

2.2 ადვოკატმა თ. კ.-მ განმარტა, რომ მასთან 2023 წლის 2 ივნისამდე რამდენიმე დღით ადრე მივიდნენ ნ. ხ.-ის კლიენტები და მიაწოდეს ინფორმაცია, რომ სურდათ ადვოკატის გამოცვლა და იურიდიული კონსულტაციის მიღება. ადვოკატ თ. კ.-ის განცხადებით, ნ. ხ.-ის კლიენტებმა განუმარტეს, რომ უკმაყოფილოები იყვნენ მათი ადვოკატის სამოქმედო სტრატეგიით, ვინაიდან ის სთავაზობდა დათანხმებოდნენ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას. ადვოკატის განმარტებით, მასთან კონსულტაციის მისაღებად მისულმა პირებმა დაურეკეს ადვოკატ ნ. ხ.-

ს სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის რეკვიზიტების მისაღებად, თუმცა ადვოკატი არ პასუხობდა მათ ზარებს, რის შემდეგაც კლიენტებმა მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიას, საიდანაც მიიღეს ინფორმაცია, რომ მათ საქმეზე ადვოკატს შესაგებელი წარდგენილი არ ჰქონდა. ადვოკატის განმარტებით, ნ. ხ.-ის კლიენტებმა სთხოვეს მათი ინტერესების დაცვა, რაზეც ადვოკატმა თ. კ.-მ განუმარტა, რომ თუ აღარ სურდათ ადვოკატ ნ. ხ.-ის საადვოკატო მომსახურებით სარგებლობა, აუცილებლად უნდა მიეწოდებინათ ადვოკატისათვის ინფორმაცია.

2.3 ადვოკატ თ. კ.-ის განმარტებით, მან თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამზადებელ სხდომამდე წარადგინა შესაგებელი. შესაგებლის წარდგენის დღეს, მას დაურეკა ადვოკატმა ნ. ხ.-მ და ჰკითხა თუ რატომ აწვდიდა მის კლიენტებს არასწორ ინფორმაციას. საჩივრის ავტორი საუბრობდა აგრესიულად და კოლეგას არწმუნებდა, რომ თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. ადვოკატ თ. კ.-ის განცხადებით, მან განუმარტა ნ. ხ.-ს, რომ კლიენტებს საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ჰქონდათ უფლება უარი ეთქვათ ადვოკატის მომსახურებაზე, განუმარტა, რომ ადვოკატს ეკისრებოდა ვალდებულება კლიენტებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საქმისწარმოების ყველა გარემოებაზე და მოუწოდა კოლეგას დამოუკიდებლად გაერკვია კლიენტებთან ურთიერთობა, რის შემდეგაც დაემშვიდობა მას და საუბარი აღარ გაგრძელებულა.

2.4 ადვოკატ თ. კ.-ის განმარტებით, სატელეფონო საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მას თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში შეხვდა ადვოკატი ნ. ხ., რომლმაც ყველას გასაგონად მიმართა, რომ მოპასუხეებს აწვდიდა არასწორ ინფორმაციას. ადვოკატის განმარტებით, მან რამდენჯერმე მოუწოდა კოლეგას შეეწყვიტა ამგვარი საუბარი, თუმცა უშედეგოდ, რის შემდეგაც განუცხადა, რომ თუ თავს არ დაანებებდა და არ შეწყვეტდა აგრესიული ტონით, ხმამაღალ საუბარს, პატრულს გამოიძახებდა, რის |შემდეგაც ადვოკატი ნ. ხ. წავიდა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მას არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტები და მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ ნ. ხ.-ის ყოფილი კლიენტები აპირებდნენ ეჩივლათ მისთვის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში, კოლეგიალობის პრინციპიდან გამომდინარე, მან მოუწოდა თავი შეეკავებინათ ასეთი ქმედებისაგან.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართლი, ბავშვთა უფლებები.

3.2 ადვოკატმა ნ. ხ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 13 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატ თ. კ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. კ.-მ ადვოკატ ნ. ხ.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის შენობაში განუცხადა, რომ „მისთვის თავი დაენებებინა, თუ არადა პატრულს გამოუძახებდა“.

5.2 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ თ. კ.-ის ქცევა შეამოწმა შემდეგი ნორმების ფარგლებში:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“;

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

5.3 ადვოკატი მუდმივად უნდა ზრუნავდეს შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეულ დამოკიდებულებასა და პატივისცემას. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. დამცველების პროფესიული ქცევა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს - მათ მოეთხოვებათ თავდაჭერილი, პატიოსანი და ღირსეული ქცევა (ეთიკის კომისიის 04.10.21 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N090/21).

5.4 ადვოკატს კოლეგების მიმართ განსაკუთრებული ვალდებულებები აქვს, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები. კოლეგებისადმი გამოხატული თავაზიანობა არის ცივილიზებული იურიდიული პროფესიის ნიშანი, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მოპოვებას და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას. აღნიშნული პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის

დროს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.5 საპროცესო კოლეგია ადვოკატ ნ. ხ.-ისა და ადვოკატ თ. კ.-ის საყურადღებოდ განმარტავს, რომ კოლეგებმა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება და გულისხმიერება უნდა გამოიჩინონ ერთმანეთის მიმართ; შეეცადონ თავი აარიდონ კონფლიქტსა და უთანხმოებას. ადვოკატების პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს, რომ მათ შორის არსებული გაუგებრობა გადაჭრან კოლეგიალური გზით, ადვოკატის პროფესიული როლისა და რეპუტაციისათვის ჩრდილის მიყენების გარეშე.

5.6 ადვოკატმა ნ. ხ.-მ საჩივარში და საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მისთვის შეურაცხმყოფელი იყო ადვოკატ თ. კ.-ის ქცევა, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში, ისე კოლეგასთან სატელეფონო საუბრისას. საჩივრის ავტორის შეფასებით, ადვოკატ თ. კ.-ის ქმედება იყო შეურაცხმყოფელი და სცდებოდა კოლეგიალობის ფარგლებს, როდესაც მეორე ადვოკატს მოუწოდებდა, რომ „პატრულს გამოიძახებდა“ და ეუბნებოდა, რომ „მისთვის თავი დაენებებინა“. ადვოკატმა თ. კ.-მ, წერილობით განმარტებაში დაადასტურა აღნიშნული ფაქტები და განმარტა, რომ მის მიერ კოლეგისათვის აღნიშნული ფრაზების თქმა განპირობებული იყო ხალხმრავალ ადგილას საჩივრის ავტორის ქცევითა და საკუთარი რეპუტაციის დაცვის აუცილებლობით და მას კოლეგისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

5.7 დასახელებულ შემთხვევაში საპროცესო კოლეგიამ შეაფასა რამდენად ექცეოდა ადვოკატ თ. კ.-ის ქცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. კოლეგია განმარტავს, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრებები თავისუფლად, თუ მისი შეხედულებები არ ეწინააღმდეგება მორალისა და ზნეობის საყოველთაოდ დამკვიდრებულ სტანდარტებს. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში შეხვედრას, წინ უსწრებდა კოლეგებს შორის დაძაბული საუბარი, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ადვოკატ ნ. ხ.-ის კლიენტებმა გადაწყვიტეს უარი ეთქვათ საჩივრის ავტორის საადვოკატო მომსახურებაზე და სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართეს ადვოკატ თ. კ.-ის. იმის მიუხედავად, რომ კლიენტი დამოუკიდებლად ირჩევს თუ რომელი ადვოკატის მომსახურებით ურჩევნია სარგებლობა, აღნიშნული შესაძლოა საკმაოდ უსიამოვნო ყოფილიყო კოლეგისათვის. საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატ თ. კ.-ის მიერ კოლეგისათვის ნათქვამი ფრაზა შესაძლოა არ იყო კოლეგისათვის სასიამოვნო, თუმცა კოლეგის მიმართ გამოყენებული ფრაზეოლოგია არ არის უხამსი, ამორალური ან საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობისა და ეთიკის წესების შეუსაბამო. ადვოკატ თ. კ.-ის კოლეგასთან საუბრისას არ გამოუყენებია შეურაცხმყოფელი ან/ და არაეთიკური ტერმინოლოგია. ამავდროულად, მის მიერ კოლეგისათვის ნათქვამი ფრაზის მიზანს არ წარმოადგენდა კოლეგის შეურაცხყოფა ან/და დამცირება, გამოწვეული იყო მათ შორის არსებული დაძაბული ურთიერთობით და განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ კოლეგებმა ვერ შეძლეს სიტუაციის განეიტრალება. შესაბამისად, ადვოკატ თ. კ.-ის პასუხი შესაძლოა არ წარმოადგენდა კოლეგისაგან სასიამოვნო პასუხს, თუმცა სრულად ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და არ წარმოადგენს შეურაცხმყოფელ ფრაზას.

5.8 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე (ეთიკის კომისიის 15.05.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N022/19) და განმარტავს, რომ როდესაც ადვოკატი სიტყვიერად გამოხატავს სათქმელს, რომელიც ეთიკურობის ფარგლებშია მოქცეული, იგი წინასწარ ვერ განჭვრეტს რა შეიძლება იყოს „შეურაცხმყოფელი" მეორე მხარისთვის. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია შეურაცხყოფის ფაქტს აფასებს ობიექტური და არა სუბიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით და აღნიშნავს, რომ ყველა ადამიანს მორალის და ზნეობის საკუთარი სტანდარტები გააჩნია. თუმცა, არსებობს დადგენილი მორალი და ზნეობა, რომელიც ყველა ადამიანისთვის საერთო და საყოველთაოდ აღიარებულია. შესაბამისად, კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საჩივრის ავტორის სუბიექტური მდგომარეობის და იმის შესახებ, თუ როგორ განიცადა მან კოლეგის სიტყვები. ამიტომ, ეთიკის კომისია საზომად ზოგად, ობიექტურ ფაქტორებს იღებს და არა საჩივრის ავტორის სუბიექტურ შეხედულებებს. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ზოგადად, ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე ადვოკატის სიტყვები საჩივრის ავტორისთვის მომეტებულად შეურაცხმყოფელი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა, რადგან ეთიკის კომისიისთვის უცნობია თითოეული ინდივიდის სუბიექტური მდგომარეობა, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ შესაძლოა ადამიანის გაღიზიანება, გაბრაზება (მაგრამ არა შეურაცხყოფა, რადგან შეურაცხყოფა მხოლოდ ამორალური ფორმით არის შესაძლებელი) ისეთმა სიტყვებმაც გამოიწვიოს, რომელიც სრულად ექცევა ეთიკურობის ფარგლებში, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს შეურაცხყოფას, რადგან ადამიანის შეურაცხყოფა ხდება უხამსი სიტყვების გამოთქმით, რასაც დასახელებულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

5.9 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი თ. კ. წინასწარ ვერ განჭვრეტდა რა შეიძლებოდა ყოფილიყო კოლეგისათვის სუბიექტურად შეურაცხმყოფელი. აქედან გამომდინარე, კოლეგია შეურაცხყოფის ფაქტს აფასებს ობიექტური და არა სუბიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით და აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ წარმოთქმული სიტყვები შეესაბამება დადგენილი მორალისა და ზნეობის ფორმებს, რაც ყველა ადამიანისთვის საერთო და საყოველთაოდ აღიარებულია. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ დგინდება ადვოკატ თ. კ.-ის მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტების დარღვევა.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №056/23 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ თ. კ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/